# 2 ქულა მოპოვებულ იქნა მძიმე ბრძოლაში

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 21 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) – “ლოკომოტივი” (მოსკოვი) – 2:1 (0:1).

“დინამო” (თბილისი) – ს. კოტრიკაძე, ელოშვილი, ძიაპშპა, ხოჭოლავა, ა. კოტრიკაძე, რამიშვილი, ხასაია, ქვლივიძე (მესხი), ღოღობერიძე, იამანიძე, ჭკუასელი.

“ლოკომოტივი” (მოსკოვი) – ვოსტროილოვი, კლიმაჩოვი, ზაბელინი, ჩერნიკოვი, კოვალიოვი, ბირიულინი, ზაიცევი, ბუბუკინი, კალოევი, ვოროშილოვი, აბრამოვი.

მსაჯი: მ. შლიაპინი (ოდესა).

21 აპრილის მატჩებიდან “ა” კლასში ერთ–ერთი ცენტრალური იყო თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “ლოკომოტივის” შეხვედრა. გარდა იმისა, რომ ისინი ერთმანეთის ახლო მეზობლები იყვნენ ცხრილის პირველ ხუთეულში და აღნიშნული მატჩიდან ქულების აღებას ორივე გუნდისათვის საგანგებო მნიშვნელობა ჰქონდა, დიდ ინტერესს წარმოადგენდა სხვა გარემოებაც – რკინიგზელთა შორის ცენტრალური თავდამსხმელის პოსტი ეკავა ზ. კალოევს, რომელიც ამავე ადგილზე წლების მანძილზე თამაშობდა თბილისის “დინამოში”. წმინდა სპორტული თვალსაზრისით საინტერესო იყო თუ როგორ წარიმართებოდა “დუელი” კალოევსა და ძიაპშპას შორის. წელს ორივე ფეხბურთელი შესანიშნავ ფორმაშია, ორივემ ზედმიწევნით კარგად იცის ერთმანეთის სუსტი და ძლიერი მხარეები.

რკინიგზელთა თამაშში თავიდან იგრძნობოდა ცენტრი, მისი ხელმძღვანელი როლი, კალოევი, როგორც ყოველთვის კარგად თამაშობდა თავით, ზუსტად ანაწილებდა ბურთებს პარტნიორებს შორის და სახიფათო მომენტებში თავის კართან მოჰყვებოდა ძიაპშპას “საჰაერო ბრძოლაში” მონაწილეობის მისაღებად. მატჩის დასაწყისში იგი წარმატებით ახორციელებდა ყველა თავის ფუნქციას, მაგრამ შემდგომში უპირატესობამ ძიაპშპას მხარეს გადაინაცვლა. “დინამოს” ცენტრალური მცველი შეუცდომლად კითხულობდა “ლოკომოტივის” ცენტრალური თავდამსხმელის ყოველ ჩანაფიქრს და დროზე ახდენდა მის ლიკვიდაციას. გაცილებით ძნელი აღმოჩნდა მოსკოველთა შუამარბების ვოროშილოვისა და ბუბუკინის წინააღმდეგ ბრძოლა. განსაკუთრებით სახიფათო იყო ბუბუკინი, რომელსაც მაღალი კლასის ფორვარდის ყველა მონაცემი გააჩნია – ტექნიკა, სისწრაფე, ფიზიკური მომზადება, თამაშის გაგება. პირველი ბურთი გატანილ იქნა სწორედ ბუბუკინის მიერ, როცა მან მე–9 წუთზე მიიღო კალოევის გადაცემა და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში – 1:0.

გაშვებული გოლი ერთხანს მძიმედ დაეტყო დინამოელთა თამაშს – მცველები ნერვიულობდნენ, უმისამართოდ იგერიებდნენ ბურთებს, თავდამსხმელები მოკლე გადაცემებით დიდხანს უნდებოდნენ მოედნის შუაგულის გავლას, იშვიათად ურტყამდნენ კარში. რამდენიმე კარგი კომბინაცია ჩაიშალა იმის გამო, რომ ქვლივიძე ვერ პოულობდა თავისუფალ ადგილს და მეტწილად დახურულ ზონაში იმყოფებოდა.

დაახლოებით 25–ე წუთიდან თბილისელებმა შეძლეს შეტევის ორგანიზება, გუნდი ამოქმედდა სრული ძალით, სწრაფად, კომბინაციურად, შეტევა გაიშალა ორივე ფლანგზე და “ლოკომოტივი” იძულებული გახდა უფრო მოპოვებული წარმატების შენარჩუნებაზე ეზრუნა, ვიდრე მის გაზრდაზე. მეტად აქტიური იყო მარჯვენა ფრთაზე ხასაია, რომელიც ყოველ, თუნდაც უმნიშვნელო მომენტს იყენებდა შეტევისათვის.

პირველ ტაიმში ანგარიში არ შეცვლილა. 1:0 “ლოკომოტივის” სასარგებლოდ ფარზე კარგა ხანს ეწერა მეორე ტაიმშიც, თუმცა მისი შეცვლის რამდენიმე შესაძლებლობა თბილისელებს ჰქონდათ. მალე ქვლივიძის მაგივრად მარცხენა ფრთაზე გამოვიდა მესხი, რომელმაც მეტი სიმწვავე შეიტანა თავდასხმაში. მე–19 წუთზე მესხმა საჯარიმო დარტყმიდან ბურთი ჩააწოდა კარის წინ. აქ მის მისაღებად ემზადებოდა იამანიძე, მაგრამ იგი ხელით დაიჭირა “ლოკომოტივის” ერთ–ერთმა მცველმა. მსაჯმა შეამჩნია ეს დარღვევა და დანიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად იქნა რეალიზებული ხასაიას მიერ – 1:1.

ანგარიშის გათანაბრების შემდეგ მატჩის დაძაბულობამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია. ეტყობოდა, რომ ფრე არცერთ გუნდს არ აწყობდა, ამიტომ ბრძოლა ახალი ენერგიით გაჩაღდა.

34–ე წუთზე დინამოელები შეტევაზე იყვნენ. ძიაპშპამ შორი მანძილიდან მაღალი ბურთი გაგზავნა კარისაკენ, რომლის მისაღებად წინ გამოვიდა ვოსტროილოვი. მან სწორად ვერ შეარჩია ადგილი და მხოლოდ თითებით მისწვდა ბურთს, რომელიც მის უკან კარში დაეშვა. აქ იამანიძემ ზედმეტი დამაჯერებლობისათვის დაუმატა დარტყმა და ანგარიში გახდა 2:1.

მეკარის ეს შეცდომა საბედისწერო აღმოჩნდა მოსკოველთათვის. თბილისის “დინამომ” შეძლო თავის სასარგებლოდ დაემთავრებინა ეს უაღრესად დაძაბული, მძიმე ბრძოლა.

ამავე გუნდების დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს რკინიგზელებმა – 3:1.

**ზ. ცინცაძე.**
**“ლელო”, 25 აპრილი, 1957 წ.**